დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109262513**

თარიღი:**08/09/2026**

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Ng-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Ng-109.109253582 განკარგულების „ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების და ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01 11)“ დანართი N11 ჩამოყალიბდეს ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 11

მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების და ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 01 11)

მუხლი 1. მიზანი

პროგრამის მიზანია, დახმარება გაეწიოთ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ მარტოხელა პირებს და ბავშვიან ოჯახებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ჰიგიენური საშუალებების, სასკოლო ტანსაცმელი (სასკოლო ასაკის 4 და მეტი შვილი) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 2. ამოცანა

1. პროგრამის ამოცანაა ,,ბავშვის უფლებათა კოდექსით'' განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.
2. მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების პირველადი საჭიროებების ნივთებით დაკმაყოფილება.

მუხლი 3. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებები დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე გამოკვეთილ დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ერთ-ერთი შემდეგი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები:

ა) ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;
ბ) ოჯახი, რომელშიც იმყოფება ერთი ან მეტი შშმ ბავშვი;
გ) ოჯახი, რომელიც ჩართულია რეინტეგრაციის პროგრამაში;
დ) მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახი;
ე) მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირები

მუხლი 4. ქვეპროგრამის კრიტერიუმი და დაფინანსება

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების სპეციალისტის სოციალურ საკითხებში, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სოციალური მუშაკი წარმოადგენენ დასკვნას ოჯახის შესახებ.
2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ საყოფაცხოვრებო

ტექნიკას, ქვეპროგრამის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვა მოხდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მიერ, ხოლო ჰიგიენური საშუალებების, სასკოლო ტანსაცმლისა (სასკოლო ასაკის 4 და მეტი შვილი) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების ნივთების შეძენისთვის, ამ პროგრამის ფარგლებში დახმარება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც შესყიდვის პროცედურებით, ისე კანონიერ წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

3. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის განყოფილების სპეციალისტის სოციალურ საკითხებში მიერ გამოვლენილი მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირები, რომლებიც საჭიროებენ პირველადი საჭიროებების ნივთებით (საყოფაცხოვრებო ტექნიკა/ავეჯი) დაკმაყოფილებას, ქვეპროგრამის ფარგლებში ტექნიკის შესყიდვა მოხდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მიერ, ხოლო ტექნიკის გარდა სხვა პირველადი საჭიროებების ნივთებით დახმარება გაიცემა როგორც შესყიდვის პროცედურებით, ასევე კანონიერ წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

4. მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნივთების შესაძენი თანხა ერთ ბენეფიციარზე შეადგენს არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარს; სასკოლო ტანსაცმელის და ნივთების შეძენის შემთხვევაში 1 ბავშვზე არა უმეტეს 150 ლარისა.

5. მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ნივთების შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება ამ ქვეპროგრამის შესაბამის კოდში განსაზღვრული თანხის ოდენობით.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. მოქალაქის განცხადება;
2. განმცხადებლის პირადობის ან მუდმივი ბინადრობის მოწმობის ასლი;
3. ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;
4. შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. კანონიერ წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, თუ დახმარება გაიცემა თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.